ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/15

26/08/2016

15-01-17-4-201608261718

ქ.ქობულეთი

მოქალაქეების ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის, ნოდარ დავითაძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის N3-62 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით,რომლითაც ქობულეთის მუნიციპლიტეტის საკრებულოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტი ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის, ნოდარ დავითაძის კომპენსაციის გაცემის შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 27 ივნისის N01-17/5 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

2016 წლის 11 და 23 აგვისტოს გაიმართა ზეპირი მოსმენა (სხდომისოქმი N2,N3), სადაც ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი პირები მივიდნენ იმ დასკვნამდე,რომ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს შემდეგი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გამო:

1.დათვალიერების აქტით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის ფაქტი არ დგინდება, რადგან მითითებული ტერიტორიის ნაწილზე უკვე გადის შემოვლითი გზა, ხოლო დანარჩენ ნაწილზე არ ჩანს ნაკვეთით სარგებლობის ფაქტები, კერძოდ არ არის ფიქსირებული საზღვრებიან მისი არსებობის რაიმე ნიშნები, ტერიტორია დაფარულია სარეველებით, უმეტესი ნაწილი დაჭაობებულია.

2. ყოფილი ტერიტორიული ორგანო სრწმუნებულის (ბადრი ვარშანიძის)განმარტებით არ დასტურდება აღნიშნული სადაო ტერიტორიის სარგებლობის ფაქტი და საერთოდ გამორიცხავს აღნიშნული სადაო ტერიტორიის სარგებლობის ფაქტს.

3. მოწმეთა და დაინტერესებული პირთა ჩვენებები არის ურთიერთგამომრიცხავი და ვერმიიჩნევა სარწმუნოდ.

4. საარქივო ცნობები ვერ ადასტურებს სადაო ნაკვეთის სარგებლობის ფაქტს.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის N494 და 2011 წლის 12 აპრილის N801 განკარგულებების შესაბამისად, მიწების სარეგილიტაციო და სხვა ხარჯების კომპენსაცია უნდა განხორციელდეს თვითნებურ სარგებლობაში არსებულ დაურეგისტრირებელ და უკვე გამოსყიდულ მიწის ფართობებზე.

მოცემულ საქმეში ვერ იქნა დადგენილი მოქალაქეების ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის, ნოდარ დავითაძის მიერ მოცემული ტერიტორიის სარგებლობის ფაქტი.ამასთან ყოფილი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის განმარტებით მოთხოვნილი სადაო ტერიტორია საყანე ფართობად არ იყო გამოყენებული ჯამბულ თურმანიძის, დავით თედორაძის, მედეა ბარამიძის, ნოდარ დავითაძის მიერ. მიწის ნაკვეთი ძირითადად იყო დაჭაობებული ტერიტორია, რომლის ნაწილზეც იყო ჩაის პლანტაციები და სარგებლობით არ გამოიყენებოდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის 11 და 23 აგვისტოს გამართული ადმინისტრაციული წარმოების N2 და N3 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.უარი ეთქვას მოქალაქეებს ჯამბულ თურმანიძეს, დავით თედორაძეს, მედეა ბარამიძეს, ნოდარ დავითაძეს საკომპენსაციო სიაში შეყვანის შესახებ.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30).

4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა